ნასყიდობის ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ----- წლის -- ----------

მხარეები:	**მაგთიკომი**	**მყიდველი**
სახელი/სახელწ.	შპს "მაგთიკომი",	
საიდ./პირადი N	204876606	
საკონტაქტო ტელ.:	(99532)217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	

„მაგთიკომის":

მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საბანკო რეკვიზიტები:	GE81LB0113116112371050; GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901

„მყიდველის" (იურ. პირის შემთხვევაში ან თუ ფიზ. პირის სახელით ხელმომწერი სხვა პირია) უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები:

სახელი	**გვარი**	**პირადი ნომერი**

1. „მაგთიკომი" ყიდის, ხოლო „მყიდველი" ყიდულობს შემდეგ 4G/Lte Wifi მოდემს IMEI ----------. მოდემის სპეციფიკური მონაცემები მოცემულია „მაგთიკომის" ვებგვერდზე. მოდემით შესაძლებელია „მაგთიკომის" მობილური საკომუნიკაციო მომსახურებით სარგებლობა (მოდემში სიმ-ბარათის მოთავსებით) მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. მოდემის საფასური შეადგენს ---------- ლარს, დღგ-ს ჩათვლით. აქციის ან ფასდაკლების არსებობისას მისი პირობები მითითებული იქნება „მაგთიკომის" ვებგვერდზე.

2. წინამდებარე ხელშეკრულება, „ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები" (შემდგომში - სტანდარტული პირობები), „კონფიდენციალურობის პოლიტიკა" და ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოდემის პირობები წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდეგში - ხელშეკრულება). „ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები" განთავსებულია „მაგთიკომის" ვებგვერდზე (www.magticom.ge), ასევე გაეგზავნება „მყიდველს" მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართზე (ელ. ფოსტის მითითების და „მყიდველის" სურვილის შემთხვევაში.

3. „მყიდველი" ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება მეორე პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს. შესაბამისად, ხელმოწერის განხორციელებამდე, თუ „მყიდველი" არ არის გაცნობილი ჩამოთვლილ დოკუმენტებს, იგი ვალდებულია სათანადოდ გაეცნოს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს ხელმოწერა. ამასთან, „მყიდველს" უფლება აქვს „მაგთიკომის" წარმომადგენლისაგან მოითხოვოს დოკუმენტების გაცნობა მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის, ფიზიკურად (ნაბეჭდი სახით) გადაცემა.

4. „მაგთიკომი" ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მოახდენს „მყიდველის" შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებას (კერძოდ, მყიდველის ვინაობის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ინფორმაციის). ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „მყიდველი" აცხადებს თანხმობას, რათა მისი პერსონალური მონაცემები, მათ შორის ბიომეტრიული მონაცემები დამუშავდეს „მაგთიკომის" მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. „მაგთიკომი" პერსონალური მონაცემების დამუშავებას მოახდენს „კონფიდენციალურობის პოლიტიკის" შესაბამისად. „მყიდველს" უფლება აქვს „მაგთიკომისთვის" მიმართვის გზით გამოიხმოს აღნიშნული თანხმობა ნებისმიერ დროს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულების და დაკავშირებული ხელშეკრულებების შეწყვეტა.

5. „მყიდველი" მოდემის საფასურს იხდის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო დისტანციურად შეკვეთისას, შეკვეთის დროს.

6. „მყიდველს" უფლება აქვს მოდემის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში, დააბრუნოს ნივთობრივად უნაკლო მოდემი და უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, „მყიდველს" დაუბრუნდება გადახდილი თანხა მომსახურების საფასურის - 5 ლარის გამოკლებით.

7. მოდემზე მოქმედებს შემდეგი საგარანტიო პირობები: თუ მოდემის არაადეკვატური მუშაობა გამოწვეული იქნება ქარხნული დეფექტით „მყიდველს" უფლება აქვს მოდემის მიღებიდან 30 დღის ვადაში მოითხოვოს მისი შეცვლა ან ისარგებლოს ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებებით. თუ „მაგთიკომს" არ ექნება შესაძლებლობა შეცვალოს მოდემი, „მყიდველს" დაუბრუნდება მოდემის საფასური. საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მოწყობილობის მექანიკური ან ელექტრონული ზეგავლენით დაზიანების, მოწყობილობის არასწორი ექსპლოატაციის და მოპყრობის, „მყიდველის" დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებების, სტანდარტული პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

8. ხელშეკრულებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდემს აღმოაჩნდება ნაკლი. მოდემი ჩაითვლება ნაკლის მქონედ თუ შეუძლებელია მობილური ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობა (მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დაფარვის არეალში) ან შეუსაბამოა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. თუ საქონლის გადაცემის დროს ან საგარანტიო პერიოდში საქონელს აღმოაჩნდება ნაკლი, „მყიდველმა" დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 დღის ვადაში უნდა მიმართოს „მაგთიკომს" და ასეთ შემთხვევაში „მყიდველს" უფლება ექნება მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ „მყიდველი" ვეღარ ისარგებლებს ნაკლის გამოსწორების/ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით. ნაკლის აღმოჩენასთან დაკავშირებული „მყიდველის" უფლებები და ვალდებულებები დეტალურად მოცემულია სტანდარტულ პირობებში. პრეტენზიის ან კითხვების არსებობისას „მყიდველს" უფლება აქვს მიმართოს „მაგთიკომს" ცხელი ხაზის ან ელ. ფოსტის საშუალებით. მიუხედავად ამ და მე-6 პუნქტში აღნიშნულისა, თუ ხელშეკრულება დადებულია დისტანციურად ან საწერის გარეთ, „მყიდველს" უფლება აქვს 14 დღის ვადაში უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

9. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

10. „მყიდველი" ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ამ ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არამარტო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

11. „მყიდველი"ადასტურებს ხელშეკრულებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო მონაცემების ნამდვილობას და სისწორეს.

მხარეები ადასტურებენ, რომ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე „მაგთიკომმა" გადასცა, ხოლო „მყიდველმა" ჩაიბარა ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული ნივთობრივად უნაკლო მოდემი.

ხელმოწერები:

„მაგთიკომის" წარმომადგენელი **„მყიდველი"/უფლებამოსილი პირი**